დავით მაცაბერიძე*

აღმოსავლეთის პარტნიორობის ასოცირების ტრიოს პერსპექტივები

ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მონაწილე 6 პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან გამოიკვეთა სამი წევრი, - საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რომლებიც მკაფიოდ აფიქსირებენ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს. ჩამოყალიბდა „აღმოსავლეთის პარტნიორობის ასოცირების ტრიო“, რომლის მიზანიცაა თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად. თუმცა, ცალკე ძალისხმევა დასჭირდება ევროკავშირის მხრიდან აღნიშნული სამეულის აღიარებას და, მით უმეტეს გაწევრიანების პერსპექტივის დაფიქსირებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ევროკავშირი, აღმოსავლეთის პარტნიორობა.

აღმოსავლეთის პარტნიორობის განსხვავებული შედეგები

აღმოსავლეთის პარტნიორობის ისტორია 2009 წელს იწყება.[1] მაშინ ევროკავშირმა პარტნიორობა შესთავაზა ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის მოქცეულ 6 პოსტსაბჭოთა ქვეყანას (ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). ამ საკმაოდ ვრცელ სივრცეს „ახალი აღმოსავლეთ ევროპა“ შეიძლება ვუწოდოთ. ამ ქვეყნების ევროკავშირთან დაახლოებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა და უწევს ოფიციალური მოსკოვი.

6 პოსტსაბჭოთა ქვეყნის ევროკავშირთან თანამშრომლობაც სხვადასხვა ტემპით წარიმართა. პირველ რიგში ეს დამოკიდებული

---

* პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

[1] აღმოსავლეთის პარტნიორობის ფორმატი თავდაპირველად შვედეთმა და პოლონეთმა შეიმუშავეს, აღმოსავლეთის პარტნიორობის შესახებ დოკუმენტი ევროკომისიამ 2008 წ. 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, ხოლო ევროპულმა საბჭომ 2009 წ. 19 მარტს დაამტკიცა.

იყო თითოეული ამ ქვეყნის მზაობაზე გაეტარებინა რეფორმები და გადაედგა რეალური ნაბიჯები დემოკრატიის მშენებლობის მიმართულებით. სხვადასხვა მიზეზით, პარტნიორობის გაღრმავება სამმა ქვეყანამ ვერ მოახერხა, - ბელორუსსა და აზერბაიჯანს პრობლემები აქვთ დემოკრატიულ რეფორმებთან დაკავშირებით, რასაც ევროკავშირი ითხოვს, 2021 წ. 28 ივნისს კი ბელორუსის პრეზიდენტმა საერთოდ შეაჩერა აღმოსავლეთის პარტნიორობაში ამ ქვეყნის მონაწილეობა. სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტს ყარაბაღის გამო 2020 წ. შემოდგომაზე ომი მოჰყვა და სომხეთის დამარცხებით დამთავრდა. სომხეთისთვის უსაფრთხოების მთავარ გარანტად კვლავ რუსეთი რჩება.

უკრაინა, მოლდოვა და საქართველო ის სამი ქვეყანა აღმოჩნდა, რომელთაც პარტნიორობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი და გაცხადებული აქვთ ამბიციური მიზანი, - ევროკავშირში გაწევრიანება

ასოცირებული ტრიოს ჩამოყალიბება

2021 წლის 17 მაისს კიევში საქართველოს, უკრაინის და მოლდოვას საგარეო საქმეთა მინისტრებმა ევროინტეგრაცის საკითხებზე „ასოცირებული ტრიოს“ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს.[2] მემორანდუმის სამივე ქვეყანა აღიარებს, რომ მათი საბოლოო მიზანი ევროკავშირის წევრობაა, რის საფუძველსაც ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლი წარმოადგენს. ასოცირებული ტრიოს ქვეყნები იმედოვნებენ, რომ „მეტი-მეტისათვის“ მიდგომის საფუძველზე, რაც ევროკავშირის პოლიტიკის არსს წარმოადგენს, ასოცირებული ქვეყნებისათვის ეტაპობრივად გაიხსნება ევროკავშირში ინტეგრაციისა და სამართლებრივი თუ ინსტიტუციური დაახლოების ახალი შესაძლებლობები.

2021 წ. ივნისის ბოლოს ასოცირების ტრიოს საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში პირველი ერთობლივი ვიზიტით იმყოფებოდნენ. ცდილობდნენ დაერწმუნებინათ პარტნიორები, რომ „ევროკავშირ-

[2] საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ “ასოცირებული ტრიოს“ მემორანდუმი გააფორმეს - 17 მაისი 2021, ნათია ცქიფურიშვილი - https://netgazeti.ge/news/542365/

თან დიალოგის ხარისხის ამაღლება გაცილებით უკეთაა შესაძლებელი“.[3]

2021 წ. 19 ივლისს ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის სამი ქვეყნის (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო) პრეზიდენტებმა მარია სანდუმ, ვოლოდიმერ ზელენსკიმ და სალომე ზურაბიშვილმა ხელი მოაწერეს ბათუმის სამიტის დეკლარაციას, რომელიც პარტნიორობის ახალ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ. დეკლარაცია ითვალისწინებს ხელმომწერი ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას საერთო მიზნის - ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად. აღმოსავლეთის პარტნიორობის ტრიოს სამიტი ბათუმში უსაფრთხოების საკითხებზე ტრადიციული ყოველწლიური, რიგით მე-17 საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გაიმართა, რომელსაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი ესწრებოდა.

ასოცირების ტრიოს უახლოესი მიზანი იქნება ევროკავშირის მხრიდან ამ ფორმატის აღიარების მიღწევა „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ფარგლებში.

პრობლემები ასოცირებული ტრიოს გზაზე

საერთო მიზნის, - ევროკავშირში გაწევრიანების - მისაღწევად აპირებენ აღნიშნული ქვეყნები თანამშრომლობას. თუმცა, გადაიქცევა თუ არა აღმოსავლეთის პარტნიორობის ტრიო ანგარიშგასაწევ აქტორად სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ჯერ ერთი, ეს ქვეყნები განსხვავებული საშინაო და საგარეო გამოწვევების წინაშე დგანან, რაც ცხადია აისახება მათი თანამშრომლობის პერსპექტივებზეც. ასოცირებული ტრიოს ქვეყნები ეკონომიკურად ერთმანეთთან სუსტად არიან დაკავშირებული, - ისინი ერთმანეთისთვის მთავარ სავაჭრო პარტნიორებს არ წარმოადგენენ. მოლდოვას საელჩოც კი არა აქვს საქართველოში. რაც შეეხება საქართველო-უკრაინის ურთიერთობებს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის გარკვეული პრობლემები არსებობს, რაც „სააკაშვილის ფაქტორს“ მიეწერება. თუმცა, უფრო ღრმა მიზეზი რუსეთია, - რუსეთ-უკრაინის დაძაბული ურთიერთობების

[3] "ასოცირებული ტრიო" ბრიუსელში შეიკრიბა და ბორელს შეხვდა - 24 ივნისი, 2021-https://www.amerikiskhma.com/a/associated-trio-meets-with-borrell-in-brussels/5941060.html

ფონზე საქართველოს ხელისუფლება ე. წ. „რუსეთის არგაღიზიანების“ პოლიტიკას ატარებს.

მეორეც, ევროკავშირის გადასაწყვეტია, აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში დააფიქსირებს თუ არა სამეულის არსებობას და მის მიმართ განსხვავებულ პოლიტიკას ააგებს, თუ კვლავ შეინარჩუნებს ზოგადად აღმოსავლეთის პარტნიორობის ხედვას. სავარაუდოდ, ევროკავშირი შეეცდება აღმოსავლეთის პარტნიორობის მთლიანობის შენარჩუნებას, თუნდაც მისი წევრების მნიშვნელოვანი დიფერენცირების პირობებში

აღმოსავლეთის პარტნიორობა არ ნიშნავს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის დაფიქსირებას. პარტნიორი ქვეყნებისგან ევროკავშირი აღებული ვალდებულებების შესრულებას ითხოვს რეფორმების განხორციელების კუთხით. საქართველოს შემთხვევაში პირველ რიგში გასატარებელი რეფორმები, რომლის მოლოდინიც ევროკაშირს აქვს, დაფიქსირებულია 2021 წ. 19 აპრილს ევროპის საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მედიაციით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გაფორმებულ შეთანხმებაში.

დასკვნა

ასოცირებული ტრიოს ჩამოყალიბება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების გარკვეული დიფერენცირების შედეგია ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით. თუმცა, ასოცირებული ტრიოს წევრებს სერიოზული ძალისხმევა მოუწევთ როგორც ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, ისე ევროკავშირის მხრიდან ტრიოს არსებობის და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის აღიარების მიღწევის თვალსაზრისით.

ლიტერატურა

- საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ “ასოცირებული ტრიოს“ მემორანდუმი გააფორმეს - 17 მაისი 2021, ნათია ცქიფურიშვილი - https://netgazeti.ge/news/542365/
- საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ევროინტეგრაციის საკითხებზე „ასოცირებული ტრიოს“ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს - https://mfa.gov.ge/News/%E2%80%8Bsaqartvelom,-ukrainam-da-moldovam-evrointegraciis.aspx

- Memorandum of understanding between… on establishing cooperation on European integration – the “Association Trio” - https://mfa.gov.ge/getattachment/News/%E2%80%8Bsaqartvelom,-ukrainam-da-moldovam-evrointegraciis/MoU-Trio.pdf.aspx
- "ასოცირებული ტრიო" აერთიანებს უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას, 17 მაისი, 2021 - https://www.radiotavisupleba.ge/a/31259223.html
- საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ევროინტეგრაციის საკითხებზე „ასოცირებული ტრიოს“ ფორმატი შექმნეს- 17/05/2021 -https://civil.ge/ka/archives/420275
- საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ ევროკავშირს ერთობლივი ინიციატივით მიმართეს- 2020-02-15 - https://commersant.ge/ge/post/saqartvelom-ukrainam-da-moldovam-evrokavshirs-ertoblivi-iniciativit-mimartes
- ასოცირების ტრიო – რას მოუტანს საქართველოს ახალი ფორმატი? - 18 მაისი, 2021 - https://euronewsgeorgia.com/2021/05/18/asotsirebis-trio-ras-moutans-sakartvelos-akhali-formati/
- „ასოცირებული ტრიოს“ სამიტს შესაძლოა, საქართველომ უმასპინძლოს - რეზონანსი - 24.06.2021
- "ასოცირებული ტრიო" ბრიუსელში შეიკრიბა და ბორელს შეხვდა - 24 ივნისი, 2021-https://www.amerikiskhma.com/a/associated-trio-meets-with-borrell-in-brussels/5941060.html

Davit Matsaberidze

Perspectives of the Associated Trio of the Eastern Partnership

Abstract

Out of the 6 post-Soviet member countries of the 'Eastern Partnership' the three of them were differentiated – Georgia, Moldova, Ukraine – under the title of the Eastern Partnership Trio – with a clear mission of the deepening collaboration with the future membership in the European Union. There will be additional measures necessary from the side of the EU to recognize the above-mentioned trio and for accepting them as the future members.

key words: Georgia, European Union, Eastern Partnershipo